საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

პრაქტიკული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის

ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლისა და ზიანის ანაზღაურების საკითხები



პრაქტიკული სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის

ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლისა და ზიანის ანაზღაურების საკითხები

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

გამოცემის ხელმძღვანელი: შორენა ლოლაძე

ავტორები: შორენა ლოლაძე, ალექსანდრე პატარაია

რედაქტირება და დიზაინი: ხათუნა ყვირალაშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / 2023

სარჩევი

შესავალი 5

შეკრების გაშუქებისას ჟურნალისტების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები 6

ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით 14

ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები 17

შესავალი

ბოლო წლებში საქართველოში ჟურნალისტური საქმიანობა დაკავშირებულია ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ პირობებში მუშაობასთან. არცთუ დიდი ხნის წინ, 2019 წლის 20-21 ივნისსა და 2021 წლის 5 ივლისს, ჟურნალისტებს არა მხოლოდ ხელი შეეშალათ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ, ასევე, საფრთხე შეექმნა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. შედეგად, არაერთმა ჟურნალისტმა/ოპერატორმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები, იმავდროულად, მწყობრიდან გამოვიდა მათი სამსახურებრივი ტექნიკა.

ამ დოკუმენტში მოცემულია ის ძირითადი სამართლებრივი რეგულაციები და პრაქტიკა, რომლებიც ჟურნალისტებს დარღვეული უფლებების აღდგენაში დაეხმარება. ამასთანავე, განხილულია უშუალოდ ჟურნალისტების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც საჯარო შეკრებების გაშუქების დროს მოქმედებს.



შეკრების გაშუქებისას ჟურნალისტების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები

გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული უფლებაა, დემოკრატიული საზოგადოების არსებით საფუძვლად არის მიჩნეული. სასამართლო ხშირად ხაზგასმით მიუთითებს გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის პრესის მეშვეობით ზოგადი ინტერესის მქონე ინფორმაციისა და იდეების გავრცელებას ემსახურება.[1] იმავდროულად, სასამართლო აღნიშნავს, რომ მედია დემოკრატიულ ქვეყანაში, ერთგვარად, „დარაჯის“ (“watchdog”) ფუნქციას ასრულებს. ევროპული სასამართლო ინფორმაციისა და იდეების გავრცელებაში პრესის მოვალეობებს ყოველთვის აკავშირებს საზოგადოების უფლებასთან - მიიღოს ეს ინფორმაცია.[2] შესაბამისად, არა მხოლოდ პრესას აქვს ასეთი საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციისა და იდეების გავრცელების მოვალეობა, არამედ, თავის მხრივ, საზოგადოებასაც აქვს მათი მიღების უფლება.[3]

სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, შექმნან ხელსაყრელი გარემო საჯარო დისკუსიებში ყველა

---

[1] იხ. *Lingens v. Austria*, no. 9815/82, 08.07.1986, Series A no. 103, §41 და *Fressoz and Roire v. France* [GC], no. 29183/95, 21.01.1999, §45. იხ. მაგალითად, *mutatis mutandis*, *Observer and Guardian v. the United Kingdom*, no. 13585/88, 26.11.1991, Series A no. 216, §59; და *Informationsverein Lentia and Others v. Austria*, nos. 13914/88; 15041/89; 15717/89; 15779/89; 17207/90, 24.11.1993, Series A no. 276, §38.

[2] *Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland* [GC], no. 931/13, 27.06.2017; §126. ასევე იხ. *Bédat v. Switzerland* [GC], no. 56925/08, 29.03.2016; §51. ასევე იხ. *Axel Springer AG v. Germany* [GC], no. 39954/08, 07.02.2012; §79. ასევე იხ. *The Sunday Times v. the United Kingdom (no. 2)*, no. 13166/87, 26.11.1991, Series A no. 217, §§ 50, 59 and 62. ასევე იხ. *Pedersen and Baadsgaard v. Denmark* [GC], no. 49017/99, 17.12.2004, §71. ასევე იხ. *News Verlags GmbH & Co.KG v. Austria*, no. 31457/96, 11.01.2000, §56. ასევე იხ. *Dupuis and Others v. France*, no. 1914/02, 07.06.2007, §35. ასევე იხ. *Campos Dâmaso v. Portugal*, no. 17107/05, 24.04.2008, §31.

[3] იხ. მაგ. *Handyside v. the United Kingdom*, no. 5493/72, 07.12.1976, Series A no. 24, §49. ასევე იხ. *Lingens v. Austria*, §§41-42.

დაინტერესებული პირის მონაწილეობისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, შიშის გარეშე გამოხატონ მოსაზრებები და იდეები. ეს არის ე.წ. „ხელშემწყობი გარემო“ ჟურნალისტიკისა და თავისუფალი მედიისთვის.[4]

ვინ შეიძლება მიჩნეული იყოს მედიის წარმომადგენლად საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით?

დღესდღეობით ახალი ამბების მოძიება და გადაცემა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ტექნოლოგიებმა საშუალება მისცა ადამიანებსა და ორგანიზაციებს, ჟურნალისტური საქმიანობა და შესაბამისი როლები შეესრულებინათ.[5] ამდენად, ჟურნალისტთა პატივისცემა და დაცვა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ პირებით, რომლებიც ოფიციალურად არიან აღიარებულნი ამ პროფესიის წარმომადგენლებად, არამედ ეს ცნება უნდა მოიცავდეს „საზოგადოებრივი მედიის მუშაკებს, მოქალაქე ჟურნალისტებსა და სხვებს, რომლებმაც, შესაძლოა, ახალი მედიაპლატფორმები თავიანთ აუდიტორიასთან წვდომისთვის გამოიყენონ“.[6] მეტიც, „პრესის ფუნქცია მოიცავს საჯარო დისკუსიისთვის ფორუმების შექმნას [...] [და] ამ ფუნქციის განხორციელება არ შემოიფარგლება მხოლოდ მედიით ან პროფესიონალი ჟურნალისტებით“.[7]

პრესის მოწმობები არ უნდა იყოს საჭირო შეკრებებზე პირთა დასაშვებად ან ასეთი შეკრებების გასაშუქებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სივრცე შეზღუდულია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს დასწრების საკმაოდ ფართო კრიტერიუმები,

---

[4] *Dink v. Turkey*, nos. 2668/07, 6102/08, 30079/08, 7072/09 and 7124/09, 14.09.2010, §137.

[5] Declaration of the Committee of Ministers on the protection of journalism and safety of journalists and other media actors, adopted by the Committee of Ministers on 30 April 2014 at the 1198th meeting of the Ministers' Deputies („*Declaration of the Committee of Ministers, 2014*“), ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016805c5e9d [ნანახია - 13.01.2023].

[6] "UN Plan of Action on the Safety of Journalists and the Issue of Impunity," (UNESCO and OHCHR, Geneva, June 2017), available at: http://www.unesco.org/new/en/communication-and-information /freedom-of-expression/safety-of-journalists/un-plan-of-action/.

[7] *Társaság a Szabadságjogokért v. Hungary,* no 37374/05, 14.04.2009, §27.

რათა გათვალისწინებული იყოს მედიააქტორთა მზარდი არეალი.[8] ეს კრიტერიუმები არ უნდა შეიმუშაონ ან აღასრულონ სახელმწიფო ორგანოებმა, არამედ ამის უფლებამოსილება ხელისუფლებისა და სხვა სახელმწიფო უწყებებისგან დამოუკიდებელ ორგანოს უნდა მიეცეს.[9] მსგავსი მიდგომა ხელს შეუწყობს ისეთი სიტუაციის თავიდან აცილებას, როდესაც სახელმწიფო თვითნებურად ან შინაარსთან დაკავშირებულ პრეფერენციებზე დაყრდნობით გასცემს პრესის მოწ-მობებს.[10]

შესაბამისად, არ შეიძლება სავალდებულო გახდეს სპეციალური მუდმივი ან დროებითი აკრედიტაციის მინიჭება ჟურნალისტებისთვის, რომლებსაც სურთ, გააშუქონ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მოვლენები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც შეზ-ღუდულია ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო ისეთი რესურსები, როგორებიცაა დრო და სივრცე.[11]

პირის ჟურნალისტად იდენტიფიცირებისთვის რამდენად სავალდებულოა სპეციალური ტანსაცმლის ან სამკერდე ნიშნის ტარება?

თუ მედიის წარმომადგენელს არ აცვია სპეციალური ტანსაცმელი ან არ უკეთია შესაბამისი სამკერდე ნიშანი, მას მაინც უნდა მიეცეს უფლება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აწარმოოს საკუთარი ჟურნალის-ტური საქმიანობა მას შემდეგ, რაც პოლიციისთვის ცნობილი გახდება

---

[8] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission) and OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR), *Guidelines On Freedom of Peaceful Assembly* (3rd Edition) („*Venice Commission Guidelines*"), CDL-AD(2019)017, 2019, §196, ხელმისაწვდომია:
https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2019)017rev-e [ნანახია - 13.01.2023].

[9] იქვე.

[10] იქვე.

[11] Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE) Office of the Representative on Freedom of the Media, *Special Report - Handling of the Media During Public Assemblies* („*OSCE, 2020 Special Report*"), 2020, გვ. 6, ხელმისაწვდომია:
https://www.osce.org/files/f/documents/2/f/467892.pdf [ნანახია - 13.01.2023].

მისი ვინაობა და პროფესია.[12] ამ შემთხვევაში, ზემოხსენებულ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს დაცვის ისეთსავე საშუალებებზე, როგორიც მედიის ყველა სხვა წევრს ექნებოდა.[13]

გარდა ამისა, ჟურნალისტები უნდა გამოირჩეოდნენ აქციის მონაწილეებისგან, მაგალითად, ტანსაცმელზე მკაფიო ემბლემებისა ან სიტყვის („პრესა“) გამოსახვით.[14] მიზანშეწონილია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან წინასწარ იყოს შეთანხმებული ასეთი განმასხვავებელი ნიშნები, რათა სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი იდენტიფიცირება.[15]

ვრცელდება თუ არა ჟურნალისტებზე სახელმწიფოს მოწოდება შეკრების დაშლასთან დაკავშირებით?

ჟურნალისტები შეკრების დამკვირვებლები არიან.[16] შესაბამისად, აქციის მონაწილეებისადმი მიმართული მოწოდება დაშლასთან დაკავშირებით მათ არ უნდა ეხებოდეს და არ ავალდებულებდეს, დატოვონ ტერიტორია (თუ რისკის ქვეშ მათი ინდივიდუალური უსაფრთხოება არ დგას).[17] მედიის წარმომადგენლებს ხელი არ უნდა შეეშალოთ პოლიციის ოპერაციების დაკვირვებასა და ჩაწერაში, თუ (გამონაკლისის სახით) მათი იქ ყოფნა მნიშვნელოვნად არ შეაფერხებს ან ხელს არ შეუშლის სამართალდამცავებს სამუშაოს შესრულებაში. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტებს დასაშლელად უნდა მიეცეთ მკაფიო ინსტრუქციები და საკმარისი დრო.[18] ხოლო ამის შემდეგ მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამატებითი შესაძლებლობები შეკრების სათანადოდ გასაშუქებლად.[19] თუ მედიის წარმომადგენლები დაშლის შესახებ კანონიერ ბრძანებას არ

---

[12] *Najafli v. Azerbaijan*, §§67-69.
[13] იქვე.
[14] იქვე, გვ. 8.
[15] იქვე.
[16] Venice Commission Guidelines, §202.
[17] *Pentikäinen v. Finland*; §§95-115.
[18] Venice Commission Guidelines, §202.
[19] იქვე.

დაემორჩილებიან, შესაძლებელია, ამას პოლიციის მხრიდან მოჰყვეს პროპორციული რეაგირება.[20]

პოლიციის ქმედებები სასამართლო კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. ოფიცრები პასუხს უნდა აგებდნენ ძალის გამოყენებისა და საპოლიციო ქცევის მარეგულირებელი წესების დარღვევისთვის.[21] მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობისა ან ძალის შესაძლო უკანონო გამოყენების ფაქტებზე უნდა ჩატარდეს საფუძვლიანი და დამოუკიდებელი გამოძიება, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დადგეს დამნაშავე პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც. საბოლოო ჯამში, „ყველა საჭირო ნაბიჯი უნდა გადაიდგას ჟურნალისტებისა და მედიის სხვა აქტორების წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა პასუხისგებაში მისაცემად".[22] გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ პროფესიული სანქციები იმ პოლიციელებისთვის, რომლებიც მედიააქტორების წინააღმდეგ ძალადობრივ ქმედებებს ჩაიდენენ.[23]

მედიის წარმომადგენლების პროფესიული აღჭურვილობის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ ნივთების (კამერების ან ჩამწერი აპარატების) ჩამორთმევა ან ჩანაწერების წაშლა არაკანონიერია. თუ სამართალდამცავი ორგანოები განზრახ ამტვრევენ აღჭურვილობას, ეს დანაშაულად უნდა იყოს მიჩნეული და შესაბამისმა პირებმა ამ ქმედებისთვის პასუხი უნდა აგონ.[24]

---

[20] იქვე.
[21] *Najafli v. Azerbaijan*, §39.
[22] Recommendation CM/Rec(2016)4 of the Committee of Ministers to member States on the protection of journalism and safety of journalists and other media actors (Adopted by the Committee of Ministers on 13 April 2016 at the 1253rd meeting of the Ministers' Deputies) („*Recommendation CM/Rec(2016)4*"), §21, ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016806415d9#_ftn1 [ნანახია - 13.01.2023].
[23] Venice Commission Guidelines, §203.
[24] იქვე.

ევროპული სასამართლოს კონკრეტული საქმეები მედიის წარმომადგენლებთან დაკავშირებით ევროპული კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების დარღვევის ფაქტებზე:

*საქმეში **პენტიკეინენი ფინეთის წინააღმდეგ (Pentikäinen v. Finland)** სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა. საქმე ეხება დემონსტრაციის დროს ფოტორეპორტიორის დაკავებას და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით დამნაშავედ ცნობას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, მაშინაც კი, თუ გამოყენებული ზომები მიმართული არ იყო უშუალოდ მომჩივნის, როგორც ჟურნალისტის წინააღმდეგ და თუნდაც ეს ყოფილიყო პოლიციის მიერ გაცემული დაშლის ბრძანების შეუსრულებლობის შედეგი, ამ ღონისძიებებმა უარყოფითად იმოქმედა მისი ჟურნალისტური ფუნქციების განხორციელებაზე.[25] ამრიგად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო გამოხატვის თავისუფლება.*

*საქმეში **ბუტკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ (Butkevich v. Russia)**[26] მომჩივანი იყო უკრაინული ტელეარხის ჟურნალისტი, რომელიც დემონსტრაციის დროს პოლიციის ბრძანების დაუმორჩილებლობისთვის დამნაშავედ ცნეს და ორდღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მომჩივანი ცდილობდა, გადაეღო დემონსტრაცია. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლების მიერ მისი დაკავება, დაპატიმრება და სისხლისსამართლებრივი დევნა იყო მე-10 მუხლში ჩარევა. სასამართლოს აზრით, ინფორმაციის შეგროვება არის ჟურნალისტიკისთვის არსებითი მოსამზადებელი ნაბიჯი, ისევე, როგორც პრესის თავისუფლების ძირითადი და დაცული ნაწილი.[27]*

---

[25] *Pentikäinen v. Finland* [GC]; §83.
[26] *Butkevich v. Russia,* no. 5865/07, 02.07.2018.
[27] იქვე, §123.

*საქმე **ნაჯაფლი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Najafli v. Azerbaijan)** ეხებოდა ჟურნალისტს, რომელსაც პოლიციამ სცემა არასანქცირებული შეკრების გაშუქებისას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო ფიზიკური მოპყრობა იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც თავიანთ პროფესიულ მოვალეობებს ასრულებდნენ, არსებითად აფერხებდა მათ მიერ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებით სარგებლობას.[28] სასამართლოს აზრით, მნიშვნელობა არ აქვს, არსებობდა თუ არა მომჩივნის ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის რაიმე განზრახვა. მიუხედავად მისი აშკარა მცდელობისა, პოლიციისთვის აეხსნა, რომ ის იყო ჟურნალისტი და მხოლოდ თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა, მის მიმართ გამოიყენეს არასაჭირო და გადაჭარბებული ძალა.[29] აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.*

*საქმეში **ოზგურ გიუნდემი თურქეთის წინააღმდეგ (Özgür Gündem v. Turkey)** განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ გაზეთი „ოზგურ გიუნდემი“, ჟურნალისტებსა და მათთან დაკავშირებულ სხვა პირებზე თავდასხმების, ასევე გაზეთის თანამშრომლების წინააღმდეგ გადადგმული სამართლებრივი ნაბიჯების გამო, იძულებული გახდა, ფუნქციონირება შეეწყვიტა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ვერ გადადგა ქმედითი ნაბიჯები გამოძიებისა და ძალადობის შემცველი უკანონო ქმედებებისგან დაცვის მიმართულებით.[30] შესაბამისად, სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა გაზეთის გამოხატვის თავისუფლება.[31] აქედან გამომდინარე, სასამართლომ ამ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.*

---

[28] *Najafli v. Azerbaijan*, §68.
[29] იქვე.
[30] *Council of Europe, Articles 2, 3 and 10 - The safety of journalists* (*Articles 2, 3 and 10 - The safety of journalists“)*, Research Division, 2013, გვ. 7.
[31] იქვე.

*საქმეში **დინკი თურქეთის წინააღმდეგ (Dink v. Turkey)** ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა და მიუთითა, რომ თურქეთის მთავრობამ არ მიიღო ყველა შესაძლო გონივრული ზომა ჟურნალისტის სიცოცხლისთვის საშიში რეალური რისკის თავიდან ასაცილებლად.*

UNESCO-ს რეკომენდაციები საპროტესტო აქციების გაშუქებასთან დაკავშირებით

არსებობს პრესის მხრიდან საპროტესტო აქციების გაშუქების „კარგი პრაქტიკის" რამდენიმე მაგალითი:[32]

- ჟურნალისტებმა უნდა ატარონ ტანსაცმელი და პრესის მოწმობა, რათა თვალსაჩინოდ გამოირჩეოდნენ დემონსტრანტებისა და პოლიციისგან;

- ჟურნალისტებმა თანმიმდევრულად უნდა იმოქმედონ თავიანთი, როგორც პროფესიონალი დამკვირვებლების, როლის შესაბამისად და თავი აარიდონ აქციებში პროტესტის ნებისმიერ მხარეს მონაწილეობას;

- ჟურნალისტებისთვის მათი დამსაქმებლების მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო უსაფრთხოების აღჭურვილობა, მომზადება და შესაბამისი მხარდაჭერა საპროტესტო აქციების გაშუქებისას;

- ჟურნალისტებმა ასევე უნდა განიხილონ ჯგუფების შექმნა ან უკვე არსებულ იმ ჯგუფებში გაწევრიანება, რომელთა მიზანიც არის საკუთარ ქვეყანაში პრესის თავისუფლების მონიტორინგი და დაცვა, მათ შორის, აქციების დროს.

---

[32] UNESCO, *World Trends in Freedom of Expression and Media Development - Safety of Journalists Covering Protests - Preserving Freedom of the Press During Times of Turmoil* (CI-2020/WTR/3) („UNESCO, *Safety of Journalists Covering Protests*"), 2020, გვ. 13, ხელმისაწვდომია: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000374206 [ნანახია - 13.01.2023].

ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

ეროვნული კანონმდებლობით, დასჯადია ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა, რაც გულისხმობს მის იძულებას, გაავრცელოს გარკვეული ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან.[33]

თუ ჟურნალისტის მიმართ სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედება განხორციელდა, საგამოძიებო უწყება ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება და ამ პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყოს დაზარალებული ჟურნალისტის ჩართულობა.

როგორ ხდება დაზარალებულის სტატუსის მინიჭება?

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში პირს დაზარალებულის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს თავად პროკურორის ინიციატივით ან ამ პირის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი თავისი ინიციატივით არ გამოსცემს დადგენილებას პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ, საჭირო ხდება წერილობითი განცხადებით მიმართვა. პროკურორის უარი პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან 10 დღის ვადაში და ხოლო შემდეგ - სასამართლოში, ამავე ვადაში.[34] ვადის ათვლა იწყება წერილობითი პასუხის ჩაბარებიდან.

[33] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 154.
[34] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 56.

რა უფლებები წარმოეშობა პირს დაზარალებულად ცნობის შემდეგ?

პირის დაზარალებულად ცნობა უკავშირდება გამოძიების ფარგლებში მისთვის არაერთი უფლების მინიჭებას. კერძოდ, დაზარალებულს უფლება აქვს:

ა) იცოდეს, გამოძიება პირს კონკრეტულად რა ქმედებისთვის წარუდგენს ბრალს და რაში გამოიხატება ბრალდების არსი;

ბ) მიიღოს ინფორმაცია ყველა იმ მოქმედების შესახებ, რომელიც განახორციელა გამოძიებამ;

გ) სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია, რა ზიანი მიადგა მას დანაშაულის შედეგად;

დ) უფასოდ მიიღოს გამოძიებისა თუ სასამართლოს მიერ გამოცემული/მიღებული აქტების (დადგენილებები, განაჩენები, განჩინებები) ასლები;

ე) აუნაზღაურდეს ის ხარჯები, რომლებიც მან გასწია პროცესში მონაწილეობის გამო;

ვ) დაიბრუნოს ნივთები, რომლებიც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დროებით ჩამორთმეული ჰქონდა;

ზ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას;

თ) მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს;

ი) მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე, ასევე ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება;

ლ) მიმართოს პროკურორს და მოითხოვოს შუამდგომლობის დაყენება პროცესის სრულად ან ნაწილობრივ დახურვასთან დაკავშირებით;

მ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ.[35]

დაზარალებულს უფლება აქვს, არა მხოლოდ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს საგამოძიებო ორგანოში, არამედ, ასევე - მოითხოვოს საქმის მასალების ასლების მისთვის გადაცემა. დაზარალებულს ეს უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიენიჭა.[36]

მნიშვნელოვანია, გამოძიება წარიმართოს სწორი კვალიფიკაციით, რაც გულისხმობს, რომ საგამოძიებო უწყებამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს ჟურნალისტის წინააღმდეგ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულს და გამოკვეთოს პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის მიზანი/მოტივი.

გამოძიებისა და სამართალწარმოების დროს რა ტიპის ჩართულობაა საჭირო?

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში დაზარალებულმა უნდა ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან, რაც გულისხმობს საგამოძიებო უწყებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებასა და გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას. გარდა ამისა, ჟურნალისტი, როგორც მოწმე, უნდა დაესწროს სასამართლოში დაკითხვის პროცესს, რათა უპასუხოს ბრალდებისა (პროკურორის) და დაცვის მხარის (ბრალდებულის და მისი ადვოკატის) შეკითხვებს, ასევე, მომხდარის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს სასამართლოს.

ამ პროცესში დაზარალებულ თუ მოწმე ჟურნალისტს უფლება აქვს, ჰყავდეს ადვოკატი და გამოკითხვასა თუ საგამოძიებო მოქმედებებში მხოლოდ მისი თანდასწრებით მიიღოს მონაწილეობა.

---

[35] იქვე, მუხლი 57.

[36] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/1312, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5057993?publication=0#DOCUMENT:1.

ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები

შეკრებების დროს სამართალდამცავებმა და სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ როგორც ეროვნული, ისე უცხოური მედიის უსაფრთხოება.[37] ეს არის გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთი წინაპირობა.[38] სამართალდამცავებმა უნდა დაიცვან ჟურნალისტები მესამე პირებისგან მომავალი ძალადობისა ან/და ზიანისგან. იმავდროულად, ისინი ვალდებულნი არიან, გამოიჩინონ თავშეკავება და მედიის წარმომადგენლებს ხელი არ შეუშალონ მუშაობაში.[39] უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ მედიის წარმომადგენელთა უფლებების, მათ შორის, გადაადგილების თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზედმეტად შეზღუდვის საბაბად.[40]

დამნაშავის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯის გარდა, რომლის მიზანიც არის სამართლიანობისა და დაზარალებულის უფლებების აღდგენა, კანონმდებლობით გათვალისწინებულია ასევე სამოქალაქო/ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.[41] ეს გულისხმობს უშუალოდ დამნაშავისა ან სხვა პირისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

---

[37] "Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Protecting Freedom of Expression and Information in Times of Crisis", adopted by the Committee of Ministers on 26 September 2007 at the 1005th meeting of the Minister's Deputies („*Guidelines of the Committee of Ministers, 2007*"); II §2, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/foe-crisis-eng/16809e43e5 [ნანახია - 13.01.2023].

[38] Declaration of the Committee of Ministers, 2014.

[39] Venice Commission Guidelines; §197.

[40] Guidelines of the Committee of Ministers, 2007, II §2.

[41] სამოქალაქო კოდექსი, მუხლები 408, 992.

რა ტიპის ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოითხოვოს დაზარალებულმა ჟურნალისტმა?

საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, დაზარალებულ ჟურნალისტს უფლება აქვს, მოითხოვოს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

მატერიალური ზიანი გულისხმობს იმ ქონებრივ დანაკლისს, რომელიც პირმა შეიძლება განიცადოს შემთხვევის შედეგად (მაგალითად, ტექნიკის, აპარატურის, ტანისამოსის დაზიანება და ა.შ). ასეთ დროს შესაძლებელია დაზიანებული ქონების საბაზრო ღირებულების მოთხოვნა. დამატებით, ჟურნალისტმა შეიძლება მოითხოვოს სარჩოც, თუკი მან, დაზიანებების გამო, შრომის უნარი დაკარგა.

მორალური ზიანი ამ კონტექსტში გულისხმობს ჯანმრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე კომპენსაციას.[42] მისი კონკრეტული ოდენობა ან დაანგარიშების წესი კანონმდებლობაში არ არის გაწერილი და სასამართლო მას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად ადგენს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, დამნაშავის დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ და ა.შ.

ვის წინააღმდეგ შეიძლება დაიწყოს დაზარალებულმა ჟურნალისტმა სასამართლოში დავა ზიანის ანაზღაურების თაობაზე?

უპირველეს ყოვლისა, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია ***უშუალოდ ზიანის მიმყენებელი პირი***, ანუ ფიზიკური პირი, რომელმაც ჟურნალისტის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა. ასეთ შემთხვევაში დავა სასამართლოში შეიძლება წარიმართოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით როგორც დანაშაულის გამოძიების ეტაპზე, ისე - განაჩენის გამოტანის შემდეგაც. ამდენად, ზიანის ანაზღაურების საკითხზე დავის წამოწყება უშუალოდ არ უკავშირდება

[42] იქვე, მუხლი 413.

სისხლის სამართლის საქმეს და სარჩელის განხილვა მისგან დამოუკიდებლადაც შეიძლება მიმდინარეობდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გამამტყუნებელი განაჩენი დაზარალებული ჟურნალისტისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყოს ზიანის ანაზღაურების საქმეშიც. სასამართლოს ეს აძლევს შესაძლებლობას, საქმე გამარტივებული წესით განიხილოს.

გამარტივებული წესი გულისხმობს საქმის ისეთ განხილვას, როდესაც დაზარალებულ ჟურნალისტს აღარ უწევს იმის მტკიცება, რომ მის მიმართ განხორციელდა მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მას ამ ქმედებით მიადგა ზიანი. სარჩელის განმხილველი მოსამართლე მხედველობაში იღებს სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ განაჩენს და უკვე დადგენილ გარემოებებს.

გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც ჟურნალისტს ზიანი ადგება სახელმწიფო მოხელის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით, ზიანის ანაზღაურების გადახდა შეიძლება დაევალოს ***სახელმწიფოს იმ ორგანოსაც, რომელშიც ამ ქმედების ჩამდენი პირია დასაქმებული.*** ასეთ დავას სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციული წესით.

მაგალითად, 20-21 ივნისს განვითარებული მოვლენების შედეგად დაზარალებული ჟურნალისტები სასამართლოში დავობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ და მისგან მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ, ვინაიდან სწორედ ამ უწყების თანამშრომლებმა მიაყენეს მათ ზიანი თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების (აქციის დაშლის) დროს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა თ.კ-ის სარჩელი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ და ამ უკანასკნელს ჟურნალისტისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 2,000 ლარის გადახდა დააკისრა. გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ თ.კ. 2019 წლის 20 ივნისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ და აშუქებდა აქციას. 23:30 საათზე ვითარება რადიკალურად გამწვავდა, რის გამოც, მან გადაწყვიტა ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ შემაღლებულ ადგილას ასვლა და იქიდან პირდაპირი ეთერის რეჟიმში მოვლენების გაშუქება. ამ დროს მან სახის არეში იგრძნო ტკივილი და, ძლიერი

სისხლდენის გამო, იძულებული გახდა, დაეტოვებინა ტერიტორია და სამედიცინო დახმარებისთვის მიემართა.

სასამართლოს განმარტებით, „მშვიდობიანად, რაიმე სახის აგრესიული ან კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გარეშე ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას, იგი ჟურნალისტია და ახორციელებდა ჟურნალისტებისთვის გამოყოფილი ადგილიდან საქმიანობას, პოლიციის მიერ გამოყენებული იქნა იმგვარი საპოლიციო ღონისძიება, რომელიც არ იყო გამოსადეგი, რადგან მის მიმართ ძალის გამოყენებით ვერ აღიკვეთებოდა იმ პირთა სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, რის გამოც დაიწყო პოლიციამ შეკრების შეწყვეტა, არ იყო, ასევე აუცილებელი, რადგან შეკრების შეწყვეტის მიზნით შესაძლებელი იყო უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენება, კანონდამრღვევი პირების მიმართ.”[43]

ეროვნული სასამართლო, ერთი მხრივ, აფასებს, რამდენად კანონიერი იყო ჟურნალისტის ქმედება/ქცევა მის მიმართ გამოყენებული საპოლიციო ღონისძიების დროს, ხოლო, მეორე მხრივ - იყო თუ არა ეს ღონისძიება დარღვევის პროპორციული.

რა მტკიცებულებების მოძიებაა საჭირო დავისთვის?

სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე მოსარჩელემ უნდა მოიძიოს და წარადგინოს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რადგან ფაქტების მტკიცების ტვირთი მასზეა.[44]

ასეთი მტკიცებულებები შეიძლება იყოს:

- იმ ვითარების ამსახველი მტკიცებულებები, რომელშიც პირმა დაზიანება მიიღო (ფოტო, ვიდეო, აუდიო ჩანაწერი, მოწმე);
- დაზიანების ამსახველი მტკიცებულებები (სამედიცინო დოკუმენტები - ფორმა N100, გამოკვლევების შედეგები, ექიმის

[43] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N3/1714-21.
[44] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102.

დანიშნულება, სამედიცინო პროცედურების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები, ექსპერტიზის დასკვნა;

- ზიანის ოდენობის გამოსათვლელად საჭირო დოკუმენტები (ხარჯთაღრიცხვა, ანგარიშფაქტურები, ქვითრები);
- შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, შესაბამისი სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შრომის უნარის შეზღუდვის პროცენტულობაც, ასევე შრომის უნარის დაკარგვამდე შრომის ანაზღაურების ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგალითად, სახელფასო ცნობა, შრომითი ხელშეკრულება, საბანკო ანგარიშიდან ამონაწერი და სხვა).

რა ხარჯებთან არის დაკავშირებული სასამართლოში საქმის წარმოება?

მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის წარდგენისას მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟის სახით უნდა გადაიხადოს მის მიერ მოთხოვნილი თანხის 3%. მაგალითად, თუ მოთხოვნილია 4000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება, ბაჟის თანხა შეადგენს 120 ლარს.[45]

მოსარჩელის სასარგებლოდ საქმის დასრულების შემდგომ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ეკისრება მოპასუხე მხარეს, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ბაჟი უკან არ ბრუნდება.[46]

ჯანმრთელობის დაზიანების გამო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას პირი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.[47]

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ზიანის ანაზღაურების სარჩელის სასამართლოში წარდგენა შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმისგან დამოუკიდებლად, განაჩენის არარსებობის შემთხვევაშიც. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, განაჩენის არსებობა საგრძნობლად ამარ-

[45] იქვე, მუხლი 39.
[46] იქვე, მუხლი 53.
[47] იქვე, მუხლი 46.

ტივებს დავის პროცესს, შესაბამისად, ზრდის იმის ალბათობას, რომ დავა დაზარალებულის სასარგებლოდ დასრულდეს და მისი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს.[48] *ასევე, გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის შემთხვევაში, დაზარალებული მოსარჩელე გათავისუფლებულია მატერიალური ზიანის ნაწილში სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.*[49]

რა ვადაში შეიძლება ჟურნალისტმა იდავოს ზიანის ანაზღაურებაზე?

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ჟურნალისტს შეუძლია 3 წლის ვადაში (ხანდაზმულობის ვადა). ვადის ათვლა იწყება იმ დროიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო, დამნაშავე პირის შესახებ.[50] როდესაც იმთავითვე ცნობილია იმ პირის ვინაობა, რომელმაც მოსარჩელეს ზიანი მიაყენა, ვადა შეიძლება აითვალოს ზიანის მიყენების ფაქტიდან.

მაგალითად, თუ ჟურნალისტმა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს, 2022 წლის 1-ელ ივნისს მიიღო დაზიანება და მისთვის ცნობილია დამნაშავე პირის ვინაობა, ხანდაზმულობის ვადა აითვლება 2022 წლის 2 ივნისიდან და გაგრძელდება 2025 წლის 1-ლი ივნისის ჩათვლით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე უცნობია, ვადის ათვლა დაიწყება მას შემდეგ, რაც ზიანის მიმყენებლის ვინაობა გაირკვევა. თუკი არსებობს სისხლის სამართლის განაჩენი, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა აითვლება განაჩენის გამოტანის მომენტიდან. მაგალითად, თუ 2022 წლის 1-ელ ივნისს მომხდარ ფაქტზე სასამართლოს საბოლოო განაჩენი მიიღება 2023 წლის 1-ელ ივნისს, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება 2023 წლის 2 ივნისიდან (იგულისხმება შემთხვევა, როდესაც დაზარალებულისთვის მომხდარისთანავე არ არის ცნობილი დამნაშავის ვინაობა).

---

[48] იქვე, მუხლი 309.
[49] იქვე, მუხლი 46.
[50] სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1008.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში შესაძლებელია პირადი და სატელეფონო კონსულტაციის მიღება ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით, 11:00-14:00 და 15:00-17:00 საათებში.

მისამართი: ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქ. N15

სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება - (032)-2-99-50-76

სისხლის სამართლის მიმართულება - (032)-2-30-72-36

საერთაშორისო სამართლის მიმართულება - 577-07-05-78

ასევე შესაძლებელია ონლაინკონსულტაციის მიღება ელფოსტის მეშვეობით - legalaid@gyla.ge